დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ცნობილი მთარგმნელის და პოლიგლოტის. პროფესორ ერეკლე ტატიშვილის სახელობის პრემიის მინიჭების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდეგში - ,,უნივერსიტეტი'') პროფესორ ერეკლე ტატიშვილის სახელობის პრემია (შემდეგში - ,,პრემია'') წესდება უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ინიციატივითა და კერძო შემოწირულობით.

მუხლი 2. პრემიის მინიჭების პროცედურა

1. პრემიის გადაცემა ხდება ინსტიტუტის მიერ ორ წელიწადში ერთხელ. პირველი პრემია გაიცემა 2025 წელს.

2. პრემია შეიძლება მიენიჭოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს სამეცნიერო ნაშრომისთვის ბრიტანულ ლიტერატურაში (აღნიშნული მიზნისთვის სამეცნიერო ნაშრომად განიხილება სტატია).

3. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში კონკურსი ცხადდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელის ინიციატივით და კერძო შემოწირულობების უნივერსიტეტის ანგარიშზე ჩარიცხვის საფუძველზე. კონკურსი ცხადდება და საკონკურსო კომისია მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე. განცხადება პრემიის მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ ქვეყნდება უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ვებგვერდზე კონკურსამდე არაუგვიანეს ერთი თვისა.

4. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ბაკალავრიატის საფეხურის მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე სემესტრის და მაგისტრატურის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე სემესტრის სტუდენტებს, რომელთაც კონკურსისათვის უნდა წარმოადგინონ თავისი კვლევა სტატიის სახით ბრიტანულ ლიტერატურაში.

5. პრემიის მიღების მიზნით დოკუმენტაციის უნივერსიტეტში წარმოდგენა ხდება თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კანცელარიაში მათი რეგისტრაციის გზით,

რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ დოკუმენტაცია (სტატია) განსახილველად აღარ მიიღება.

6. წარმოდგენილ ნაშრომებს აფასებს და პრემიის მინიჭებაზე გადაწყვეტილებას იღებს საკონკურსო კომისია.

7. კომისია შედგება დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე არანაკლებ 7 პირისაგან.

8. კომისია განსაზღვრავს თავისი მუშაობის წესს, ადგენს შეფასების კრიტერიუმებს. პირველ სხდომაზე ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს. კომისია უფლებამოსილია, თუ მის სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, იგი გადაწყვეტილებებს იღებს სხდომაზე, ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით.

9. გადაწყვეტილება პრემიის მინიჭებაზე კომისიის მიერ მიიღება არაუგვიანეს საპრემიო წლის 25 დეკემბერს და ეგზავნება უნივერსიტეტის რექტორს.

10. ბაკალავრიატის საფეხურზე გაიცემა სამი პრემია: ა) პირველი ადგილი: ფულადი ჯილდო, დარგობრივი ლიტერატურა და სერტიფიკატი; ბ) მეორე ადგილი: დარგობრივი ლიტერატურა და სერტიფიკატი; გ) მესამე ადგილი: სერტიფიკატი. მაგისტრატურის საფეხურზე გაიცემა სამი პრემია: ა) პირველი ადგილი: ფულადი ჯილდო, დარგობრივი ლიტერატურა და სერტიფიკატი; ბ) მეორე ადგილი: დარგობრივი ლიტერატურა და სერტიფიკატი; გ) მესამე ადგილი: სერტიფიკატი.

11. პრემია, ერთსა და იმავე პირს, არ შეიძლება მიენიჭოს ზედიზედ ორჯერ.

მუხლი 4. წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა

1. პრემიის მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება;

ბ) CV;

გ) აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი სასწავლო ბარათიდან GPA-ის მითითებით, არანაკლებ 3.5-ისა, გამოითვლება სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში წინა სასწავლო კურსებში მიღებული შეფასების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით);

დ) სტატია ბრიტანული ლიტერატურის მიმართულებით. (არანაკლებ ხუთი გვერდისა ქართულ ენაზე, შრიფტი სილფაენ 12)

მუხლი 5. პრემიის მინიჭება და პრემირებული პირის დაჯილდოება

1. ფულადი პრემია 300 ლარის ოდენობით (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელის კერძო ინიციატივითა და შემოწირულობით) კომისიის შეფასების

საფუძველზე გადაეცემა გამარჯვებული ნაშრომების ავტორებს (პირველ ადგილზე გასულ ბაკალავრიატის ერთ და მაგისტრატურის ერთ გამარჯვებულ ავტორებს) 2025 წლის 25 დეკემბერს.

2. კონკურსში გამარჯვებულ მე-2 ადგილზე გადასულ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის თითო სტუდენტს გადაეცემათ დარგობრივი ლიტერატურა და შესაბამისი სერტიფიკატები, რომელსაც ხელს აწერს უნივერსიტეტის რექტორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი და ფაკულტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი; ხოლო მესამე ადგილზე გასულებს - სერტიფიკატი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სერტიფიკატის ნიმუში მტკიცდება რექტორის ბრძანებით, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარდგინებით.

მუხლი 6. წესში შესატანი ცვლილებები და დამატებები

წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.